საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლავრენტი მაღლაკელიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	12	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ლავრენტი მაღლაკელიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>კომენტარი</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3"><u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას</u>, კერძოდ:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე;

- სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ;

- საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

		წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას; - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული

		ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა კეთილსინდისიერებით და გულისხმიერებით, პატიოსნებით, პრინციპულობით, შრომისმოყვარეობით, თავაზიანობით და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. ლავრენტი მაღლაკელიძე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების აზრით, დამოუკიდებელი მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნებაა. კანდიდატი არ ექცევა სხვათა განწყობებისა და ზემოქმედების გავლენის ქვეშ, მას შეუძლია შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა რეზონანსული საქმის მიუხედავად. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი.

		3. პიროვნული და პროფესიული ქცევა წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავშეკავებული, საკმარისად გაწონასწორებული და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას, გულახდილობას და კორექტულობას. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ ლავრენტი მაღლაკელიძეს ახასიათებს ეთიკურობის მაღალი სტანდარტი, მისის ქცევა ყოველთვის ხასიათდება განსაკუთრებული ზომიერებით და სიმშვიდით, რაც მის ხასიათის სიმტკიცეზე მიანიშნებს. ასევე შეუძლია ყოველთვის მართოს საკუთარი ემოციები. არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ლავრენტი მაღლაკელიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ არ გამოსულა. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, თავდაჭერილი, ამასთან აქვს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია როგორც კოლეგებში, ისე პროფესიულ და აკადემიურ წრეებში.

		კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა სახის ინფორმაციაა ხელმისაწვდომი, ე.წ. გახმაურებულ საქმეებს შორის არის ე.წ. რიყის დარბევის, ტელეკომპანია იმედში შეჭრის, ასევე ტერორიზმის მხარდაჭერის, მამინაცვლის მიერ 25 წლის ქალის მკვლელობის, ნიკა გვარამიას ცემის, ირაკლი ოქრუაშვილის, მიხაილოს საქმეები. ინტერნეტში ხელმისაწვდომია ლავრენტი მაღლაკელიძის ინტერვიუები, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვისა და მოსამართლედ განწესების შესახებ ინფორმაცია, ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის პროცესში მონაწილეობის თაობაზე. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ ასახელებს მცირედით მოჭარბებულ თვითკრიტიკას. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ლავრენტი მაღლაკელიძეს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ორ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების/განაჩენის და ოთხ სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებასა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე სიღრმისეულად ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმებს. წარმოდგენილი განაჩენების, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციების შეფასების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სწორად აცნობიერებს მის მიერ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და სამართლებრივ დანიშნულებას. გააჩნია დასმული სამართლებრივი საკითხების საგნობრივი ანალიზის, ასევე ნორმათა განმარტების უნარი. თვალსაჩინოა, რომ კანდიდატი ეცნობა და აქტიურად იყენებს, როგორც სამოსამართლო ასევე,

			სამეცნიერო საქმიანობაში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების გათვალისწინებით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს შესწევს უნარი სათანადოდ მოიძიოს სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული მასალა, სწორად დასვას სამართლებრივი პრობლემა და სიღრმისეულად განიხილოს და შესაბამის სამართალურთიეროთობას ადეკვატურად შეუფარდოს როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და პრაქტიკა. კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებები, სამოქალაქო, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნა და პრაქტიკაში მის გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს პოზიტიურად აქვს შეფასებული.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ორ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების/განაჩენის და ოთხ სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ განაჩენებში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია სრულფასოვნად და დასაბუთებულია კვალიფიციურად.

			თვალსაჩინოა, რომ კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთა, მათი საფუძვლიანად გამოკვლევა და სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა. შესწავლილი სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციაც ცხადყოფს, რომ იგი ძალიან კარგად ახერხებს ძირითად სამართლებრივ საკითხზე კონცენტრირებას და მის ანალიზს. აქვს მოძიებული და გამოყენებული როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმები და სასამართლო პრაქტიკა სისხლის სამართლის მიმართულებით, ამდენად როგორც წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზით ასევე, უშუალოდ გასაუბრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების გათვალისწინებით კანდიდატს გააჩნია თანმიმდევრული მსჯელობისა და განხილული მასალის საფუძველზე ლოგიკური და სიღრმისეული დასკვნის გაკეთების უნარი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ლავრენტი მაღლაკელიძემ გამოავლინა საფუძვლიანი თეორიული ცოდნა სისხლის სამართლის მიმართულებით. ლავრენტი მაღლაკელიძეს 15 წლიანი პროფესიული გამოცდილება სამართალდამცავ და სასამართლო უწყებაში სხვადასხვა თანამდებობებზე საქმიანობას მოიცავს. 2016 წლის ივლისიდან დღემდე ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში.
წერის უნარი	18	20	<u>წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ</u>

			<u>წარმოდგენილ ორი სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების/განაჩენის და ოთხ სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა შესრულებულია გასაგები ენით და კარგად იკითხება. აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვს დახასიათებული როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს, ასევე რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ ვინაიდან ლავრენტი მაღლაკელიძე პროფესიულ საქმიანობასთან ერთად დამატებით ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, შესაბამისად მას აქვს აკადემიური წერის მაღალი სტანდარტი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	12	15	<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი მეტყველებს

			გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი, კორექტული და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, საკუთარ მოსაზრებას როგორც წესი ლაკონიურად და საკმაოდ ცხადად გადმოსცემს. მისი მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართულია. მას ძალიან კარგად შეუძლია დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში. ამასთანავე, ლავრენტი მაღლაკელიძემ დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. გასაუბრებისას კანდიდატი იყო თავდაჯერებული. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად აქვს შეფასებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოსაც.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს (2017 წლის პირველი ნოემბრიდან 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით) რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად: ლავრენტი მაღლაკელიძეს საანგარიშო 1010 დღეში დასრულებული აქვს 645 საქმე (დღეში საშუალოდ 0,6 საქმემდე), რაც მისი სამუშაო რეჟიმის დატვირთულობაზე მეტყველებს. ამ პირობებში კანდიდატს აქვს საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის (100%)

			უმაღლესი მაჩვენებელი. ამავდროულად, აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის (98,5%) უმაღლესი მაჩვენებელიც. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე ორგანიზებული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნებაა. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ლავრენტი მაღლაკელიძე გამოირჩევა მენეჯერული თვისებებით, ამასთან იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, საჯარო აკადემიურ დისკუსიებში, ტრენინგებსა და სემინარებში. კანდიდატის პროფესიული თვისებები პოზიტიურად აქვს შეფასებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოსაც.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> ლავრენტი მაღლაკელიძემ 2003 წელს ჩააბარა პროკურატურის მუშაკის საკვალიფიკაცო გამოცდა. 2014 წელს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში. ასევე, წარმატებით აქვს დასრულებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული პროგრამა (2016წ.). კანდიდატი დახასიათებულია პროფესიონალად, რომელსაც კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. გააჩნია მისწრაფება გამოასწოროს პროფესიული ხარვეზები და

			დახვეწოს პროფესიული უნარ-ჩვევები. მიმაჩნია, რომ კანდიდატს ძალიან კარგად შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზება.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> ლავრენტი მაღლაკელიძე სამოსამართლო პრაქტიკის პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ამასთან, ეწევა თეორიულ-კვლევით საქმიანობას სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა საკითხებზე. ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ შეხვედრებსა და სემინარებშიც (გავლილი აქვს 4 სასწავლო კურსი, 2 სემინარი, 5 საერთაშორისო კონფერენცია, 3 ტრენინგი და სხვა აქტივობები).
ქულათა ჯამი	93	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ხელმოწერა: